საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N 01-11/43

ქ. ბათუმი 03 აპრილი, 2018 წ.

ბსუ-ს ბიბლიოთეკაში სტაჟიორთა შერჩევის მიზნით საკონკურსო კომისიის შემადგენლობისა და გასაუბრების დროს განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე, 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-58-ე მუხლების, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 29 მარტის №02 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტაჟირების გავლის წესის" და ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 21 მარტის N01-11/33 ბრძანებისა და ბსუ-ს ბიბლიოთეკის დირექტორის 2018 წლის 02 აპრილის MES 7 18 00370081 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 21 მარტის N01-11/33 ბრძანებით გამოცხადებული ბსუ-ს ბიბლიოთეკაში სტაჟიორთა შერჩევის მიზნით საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) ჯემალ ანანიძე (ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი) - კომისიის თავმჯდომარე;

ბ) ლელა თურმანიძე (ბიბლიოთეკის დირექტორი) - კომისიის წევრი;

გ) ია სურმანიძე (ბიბლიოთეკის მომსახურების განყოფილების გამგე)- კომისიის წევრი;

დ) ნათია ბურჭულაძე (ბიბლიოთეკის დამუშავება-დაკომპლექტების განყოფილების გამგე) - კომისიის წევრი;

ე) მზია ჯიბუტი (ელექტრონული რესურსების განყოფილების გამგე) - კომისიის წევრი;

ვ) ჟუჟუნა გუმბარიძე (ევროპეისტიკის დეპარტამენტის ასისტ. პროფესორი) - კომისიის წევრი;

ზ) ნათია ქათამაძე (ევროპეისტიკის დეპარტამენტის ასისტ. პროფესორი) - კომისიის წევრი;

თ) ლაშა მიქელაძე (ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი) - კომისიის წევრი;

ი) ლია გაბაიძე (ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი) - კომისიის წევრი/მდივანი.

2. გასაუბრება ჩატარდეს 2018 წლის 11 აპრილს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 09:00 სთ-დან (ქ. ბათუმი, ნინოშვილის N35, ოთახი N51).

3. კომისიამ იხელმძღვანელოს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 29 მარტის №02 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტაჟირების გავლის წესის", ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 21 მარტის N01-11/33 ბრძანებითა და წინამდებარე ბრძანებით.

4. ბრძანება გასაცნობად და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს და კომისიის წევრებს.

5. ბრძანების ბსუ-ს ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების სამსახურს.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მ/შ გურამ გვარიშვილი